

# „განწირულები ვართ, ყველას გვნამლავენ“ - დანგრეული საყდრისი, ელიტური კორუფცია და მოსახლეობის შიში (ფოტოკოლაჟი)

## პოლიტიკა

14:48 2015-12-02

უძველესი ოქროს მალარო თუ ბუნებრივი ნაპრალი, რომელმაც ქართულ-გერმანულ ექსპედიციას გრანტი მოაპოვებინა - ბიზნეს სმენიერული გაუდაბნობებული ადგილი სადაც გარემო სიცოცხლისთვის საშიში - ციანიდითა და სხვა მძიმე მეტალებით ბინძურდება

“აქ ბევრი მოდის და ამბობს: ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებ, მაგრამ ისინიც მხოლოდ ფულს იღებენ და გარბიან. არავინ არაფერს აკეთებს, არავის ადარდებს, რომ შეიძლება აქ ყველანი მოვინამლოთ. ჩვენ განწირულები ვართ”, - ამ სიტყვებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის თითოეული მცხოვრებისგან მოისმენთ.

საყდრისი ყაჩაღიანის საბადოს დიდი ნაწილი უკვე აღარ არსებობს და განადგურებულია. „არემჯი გოლდი“ სამუშაოებს ბუღლოზერებით ახორციელებს. ტერიტორიაზე დამონტაჟებულია აბრებიც, რომელიც იუნყება, რომ ეს ტერიტორია კომანიის საკუთრებაა და იქ შესვლა

აკრძალულია. თითქმის 5 ათასი წლის წინ გათხრილი ოქროს საბადოს არსებობა „არემჯი გოლდმა“ ორი აფეთქებით დაასრულა. მის ნანგრევებთან, ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ორგანიზებით, 30-მდე ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი ჩავედით. თუმცა, შემთხვევის ადგილზე ჩვენი მისვლიდან რამდენიმე წუთში სპეციალურ ფორმაში გადაცემული ორი მამაკაცი მოვიდა, რომელიც ჟურნალისტებს და „მწვანე ალტერნატივას“ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ტერიტორიის დატოვებას გვთხოვდა.

-წარმოგვიდგინეთ დოკუმენტი რის საფუძველზე არ გვიშვებთ ტერიტორიაზე?

-დატოვებთ ტერიტორია გაფრთხილებით!

-და თუ არ დავტოვებთ?

-პოლიციას გამოვიძახებთ.

-და თქვენ ვინ ბრძანდებით?



-დატოვეთ ტერიტორია!!!

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, საყრდირის ტერიტორიაზე კომპანია „არემჯი გოლდის“ მიერ სამუშაოები ღამის განმავლობაშიც მიმდინარეობს. იმავე ტერიტორიაზე მუშებისთვის ღამის გასათევი ვაგონებიც არის განთავსებული:

„აქ ცხოვრება უკვე გაუსაძლი გახდა, მტვერია და ვინამლებით, აქ არანაირი საბადო აღარ არსებობს. აქაა დიდი ორმო, საიდანაც გააქვთ ნედლეული და ჩვენ გვწამლავენ. არ ჩერდება მუშაობა, მთელი ღამით მიმდინარეობს მანქანების მიმოსვლა. ასე თუ გაგრძელდა, აქ ნამოსახლარი დარჩება. პოლიციაც შეკრულია ამათთან. ეტყობა ბრძანება აქვთ გაცემული, არავინ მიუხლოვდეს ტერიტორიას. ეს არის ამ ხელისუფლებისა და პირადად ივანიშვილის დამსახურება.“ - აცხადებენ ადგილობრივები.



ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლის ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, წყალი რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს, ციანიდებით და სხვა მძიმე მეტალებით არის დაბინძურებული.

„ აქ ტყით სარგებლობის ყველაზე მაკონკრეტული ფორმაა გამოყენებული, ამ საქმიანობისთვის მათ არ მოეთხოვებათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება და ფაქტობრივად არის გარემოს შეუქცევადი დეგრადაცია. ის არასოდეს არ აღდგება, ვიდრე დედამიწა იარსებებს. წყალი, რომელიც ციანიდებით და სხვა მძიმე მეტალებით არის დაბინძურებული სად მიდის? როგორც წესი, ჩაედინება მდინარე მაშავერაში და სარწყავ სისტემებში, მერე ჩვენამდე მოდის. თქვენ ხედავთ მტვერით დაბინძურებას. სავალი გზა არის დაბინძურებული, კარიერის გადამუშავებით მძიმე მეტალები ხდება გრუნტის წყლებში და მერე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს ძალიან მძიმე შედეგები. ადგილობრივების შრომისა და საცხოვრებელი პირობები ძალიან მძიმეა - აცხადებს მაჭარაშვილი.

როგორც მაჭარაშვილი განმარტავს, ის რაც კაბრეთში ხდება, ეს არის ელიტური კორუფციის თვალსაჩინო მაგალითი.

„წიალის მრეწველობა, ყველაზე მძიმე დატვირთვაა გარემოსთვის. ეს იწვევს საბინადრო გარემოს მთლიან განადგურებას, ფართოფოთლიანი ტყე, შეცვლილია ქვის უდაბნოთი, სადაც სიცოცხლის ნიშანწყალი არაა. მოპოვების ადგილებზე ხდება ჰაერის დაბინძურება. აღსანიშნავია ის, რომ გამოსატუტის მოედნის მშენებლობა დაიწყეს მანამ, ვიდრე აიღებდნენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. მის გარეშე ასეთი სახის საქმიანობა, არის სისხლის სამართლის დანაშაული. გარემოს დაცვის სამისტრომ იმის მაგივრად, რომ სისხლის სამართლის საქმე აღეძრა, მათ შესთავაზა მოეტანათ საბუთები, სადაც ეწერებოდა, რომ ადგილზე უკვე დაწყებული აქვთ საქმიანობა. ეს არის ელიტური კორუფციის თვალსაჩინო მაგალითი“ - აცხადებს მაჭარაშვილი.

თეა იოსელიანი - გურია

